№ 797 სამშაბათი, 13 აპრილი 1896—1899 სამშაბათი, 13 აპრილი. № 797

სცამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-...ჩიხპართავენ რედაქციის დილის ...3 საათამდე და საღამოს 6—7 ...წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიაში.
...ამოუწერავ წერილებს რე-დაქცია არ ბეჭდავს.
...-პირ მოლაპარაკება რედაქ-...ორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან. და 50 კ.,

!!მ ი ა ქ ც ი ე თ  ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!!
გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება

## ჩინეთის მაღაზია

ვინც ჩაის იყიდის იმას ნობათად მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას უსწორდ მიეცემა ჩაის ყოველივე მოწყობილობა. (100—7)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით —12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
...ოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-ბა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
...ნოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქართვისა, სოლოლაკი. (20—17)

## პ. ზუნიას სტამბა

ს ა ა ლ დ გ ო მ ო დ

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარა-თებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

## ექიმი

უ. მ. ჩიქოვანი
...მყოფებს იღებს ყოველ დღე დი-...11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

...ურნალო და ამბულატორია
...თოფურიასი
ქუთაისში.
...რნალოში 50 საწოლია ავად-მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-გო, თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავად-მყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს შ. ქ. ბერაძე. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. მარშანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

ქართ.-შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნება-რთვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ. სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, თავის შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21). (3—3)

მივიღეთ სწორეთ იმ ფირმებიდამ და ისეთივე საიმედო, როგორც წარსულ წლებში, ბაღდადების და ევროპიული ჯიშისა დიდი მალი აბრეშუმის თესლი. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ ჯერ-ჯერობით: ოზურგეთში, ახალსენაკში და ბათუმში ჩვენს წიგნის მაღაზიებს, რომლებთაც დაეთმობა ძლიერ იაფად. საიმედო პირს ვაძლევთ ნისიათაც. ამასთანავე ვყიდით სულ მცირე ფასათ ბჟოლის ნერგს და წიგნაკებს აბრეშუმის მოვლა მოშენებაზე.
(20—15) ძმ. თავართქილაძეები.

# ახალი ამბავი

—

*** დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, გრენადერთა დივიზიის უფროსი, პეტერბურგიდან ტფილისს ჩამობრძანდა.

*** მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის ჩამოსვლა. ამავე გაზეთის სიტყვით თავ. გოლიცინი პეტერბურღიდან ტფილისს ჩამოვა არა ადრე ივნისის თვისათ.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორად, როგორც გაზ. „კავკაზს" დეპეშით აცნობებენ, დაუნიშნავთ დირექტორის თანაშემწე სანდრიგაილო, ხოლო დირექტორად ყოფილი ბ-ნი მიცკევიჩი დაუნიშნავთ, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად.

*** დამტკიცება არჩევნებისა სოხუმში. ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას დაუმტკიცებია ქალაქ სოხუმის არჩევანები.

*** აბრეშუმის გრენას (თესლის) შემოწმების შესახებ. რადგანაც წელს ძლიერ ბევრი გრენა იქმნა შემოტანილი უცხოეთიდან ქუთაისის გუბერნიაში, მთავრობამ მათ შესამოწმებლად გაგზავნა კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მეაბრეშუმე ბ. ქუთათელაძე. როგორც შევიტყვეთ საშინელი სენი „პებრინა" აღმოჩენილა შემდეგ ფირმების გრენაში (თესლში).

1) ბერტე და კომ. ნიმუშები აღებული იყო, ახალსენაკში, ს. გეზეთში, ხოშნი და ძველ სენაკში.

2) გალფვარი და პერიე; ნიმუშები აღებული იყო ლანირში, ახალ-სენაკში და ოზურგეთში; 3) ჩილინგირიანი, ნიმუშები აღებულ ს. საჯავახოში, და ვანში; 4) არუნიანცი და ლატიფიანი, ნიმუშები აღებული იყო აბაშაში და ხონში; 5) კონსტანტინიდეს, ნიმუშები ჩოხატაურიდან, აბაშიდან, ახალსენაკიდან, ხონიდან და ოზურგეთიდან; 6) ელმასიანი, ნიმუშები ხოპიდან ქუთაისიდან; 7) ტარახჯიან, ნიმუშები ქუთაისიდან; 8) საპიიფიანი, ნიმუშები ხონიდან და ლანირიდან; 9) კუპრიანოს, ნიმუშები აბაშიდან; 10) ზარიანცის, ახალ-სენაკიდან; 11) პინარე, ზუგდიდიდან; 12) ზერანიე ქუთაისიდან; 13 პაპული ხონიდან; 14) ტასუ, ნაგომარიდან; 15) სტეფანიდე, ბათომიდან.

*** დარეჯანიანზე. პატივცემულის პროფესორის ნიკოლოზ მარრის ცნობებით, რომელიც ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა ძველს ქართულს ხელთ-ნაწერებში: სპარსულს ენაზე, ძველად „ამირან დარეჯანიანს" „ისაპი პაზმა" რქმევია. ამ სახელს ასახელებს ბაგრატ ბატონიშვილი XVI საუკუნეში და იაკობ შემოქმედელი XVII საუკუნეში. ესენიც ასევე უწოდებენ, რომ სპარსული წიგნის „ისაპი პაზმიდამ" უთარგმნიათ ქართველებს ზოგიერთი ადგილები და „ამირან-დარეჯანიანი" უწოდებიათ.

*** **დ. ხონი** ქურდის მოკვლა. 7 აპრილს გაცხარებული ქურდობის გამო ხონიდგან ექვსი ვერსის მანძილზე ყარაულებმა ერთი ქურდი მოკლეს და ორიც სასიკვდილოთ დაჭრილი სატუსაღოშია. ამ საქმის წარმოებაზე მაზრის უფროსი და გუბერნატორი დაესწრო.

მეტის-მეტად თავს გავიდნენ ქურდები და მათგან ჩვენში მოსვენება არავის ჰქონდა. იქნება ეხლა მაინც დაცხრენ.

ოლიმპია.

*** **ს. ალი** (ქართლი). ისევ სასოფლო მადანზე. თუმცა გაზეთში ბევრჯელ მქონია ლაპარაკი სოფ. ალის სასოფლო მადანზე, მაგრამ არას გზით არ შეიძლება კიდევ არ განუმეორო მკითხველ საზოგადოებას ის სამწუხარო გარემოება, რომელიც დარდ-ვარამში ახვევს ყველა შეგნებულთ და უკლავს გულს ამოდენა სიმდიდრის ასე უბრალოთ დაკარგვა. მგონი ყველას მოეხსენება, რომ ს. ალში არის კირის მადანი, სადაც იწვის დიდძალი კირი და ამასთანავე პირველის ხარისხისა მთელს კავკასიაში. აქ ყოველ წლივ ბევრი კირი სადდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში იქნობამდე იმატა აქაური კირის გასავალმა, რომ წელიწადში გადის ნახევარ მილიონი ფუთი. (ამას ამტკიცებს შემდეგი: წარსულ წელს აქ დაიწვა 100 ქურა, თვითეულ ქურაში საშუალო რიცხვით ამოდის 5,000, წელს კიდევ მეტი იწვის). ახლა ვიცი იკითხავთ: ვის ხელშია ეს ამოდენა მადანიო? ეს გახლავთ სამის ჩარჩის „ბატონიანცების“ ხელში, რომლებიც ალელებს, ლამის წურბელასავით ტვინსა სწოვენ და ტყავს აძრობენ; ან იქნება იფიქროთ ვინმემ, რომ რაც უნდა იყოს გამორჩენა მაინც ექნებათ მუშაობით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ ძვირფასის მადნით დიდი ზარალის მეტი არა აქვთ-რა აქაურებს, რადგანაც აქაური კირის ვაჭრობა არის სამის ჩარჩიანცის ხელში, რომლებიც ისე მაგრა იჭერენ გლეხებთან საქმეს, რომ სამოც-ოთხმოცი თუმნის საქმეებს ხუთ-ექვს თუმნათ აკეთებინებენ, რის გამო დიდ სიღარიბეშივარდებიან და საშვილი-შვილოდ ვეღარ ამოდიან იმათი ვალიდან. აქაურს მადანზე, რომ მუშაობა ნახოთ თვალწინ წარმოგიდგებათ კატორღა და იქ მომუშავე ხალხი, არ გააჩნიათ ზამთარი, ზაფხული, დღე, ღამე, დარი, ავდარი, უქმე და სხ. ასე გასინჯეთ აღდგომა დღესაც კი მუშაობენ!.. მერე ვისთვის? — ეშმაკებისთვის, ასე რომ არა ქნან „ჩარჩებმა“ ხომ ფეხის ფჩხილებიდან გაატყავებს!!.

ყველა ესენი, ავიღეთ დავიღეთ და რომ სოფელს სარგებლობა ჰქონოდა, მოვიწადინეთ, სასოფლო სასწორი „ყანთარი“ დაგვედგა და გაყიდულ ფუთ კირზე, თვითო კაპეიკი სოფლის სასარგებლოთ აგვეღო, საიდანაც ყოველ წლივ 5,000 მანეთამდე შემოვიდოდა, რომელიც სასოფლო ყველა ხარჯებსაც დაფარავდა და ნაღდიც სხვა დარჩებოდა. შევყარეთ ალელები რამდენჯერმე, განაჩენზე ხელმოსაწერათ, მაგრამ სულ ამაოდ. ჩარჩების ჩაგონებით ძალიან ცივს უარზე დადგნენ და ამას გაიძახოდნენ: „ჩვენ მამა-პაპას სასოფლო სასწორი არა ჰქონია და არც ჩვენ გვინდაო“. მრავალ გზით ვეცადეთ ხან დაყვავებით, ხან დარიგებით, ხან ჩხუბით, მაგრამ „ბატონიანცების“ შხამიანის, გესლიანის და უნამუსო ენით გადაბირულებზე ვეღარამ იმოქმედა.

თუმცა ალელები დღეს აჰყოლიან მტრის ენას, ერწმუნებიან სხვის ფარისევლობას და ამოდენა სიმდიდრეს ფეხსა ჰკრავენ დაჰკარგავენ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, რომ ბოლოს დროს ბევრს ინანებენ, ბევრს იტირივაგლახებენ და ცხვირში ხელს მოიკვრენ, მაგრამ რაღას მიეწევიან?! ათასიც, რომ ეცადნონ, ვეღარ იპოვნიან უფსკრულში დაკარგულს ძვირფას ალმას. „ერთი რეგვენი მოიქნევს ძვირფას ალმას და ზღვაში გადააგდებს, ათასი ჭკვიანი, რომ მიადგეს ვეღარ ამოიღებსო“.

ალელი სერგო.

*** **პატარა ლიახვის ხეობა.** ისევ ოსების ქურდობა. ანდაზაა: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ რამდენიმე სხვილ ქურდობაზედ აშკარად მივუთითე, პატარა ლიახვის ხეობაზედ იმათ, ვისიც ჯერ არს, რომ ეს ქურდობა შინაურულად მოაშიფშიფეს მეთქი და მართლ-მსაჯულის ყურამდინ არ მიუხწევია დღესაც, რადგანაც დამკარგველებს ქურდებისა ეშინიანთ. როდესაც იმ ცნობებს უგზავნიდი პატივცემულს რედაქტორს, მე შორიდგან თავს უკანტრუშებდი ქურდ ოსებს და ვიმეორებდი ჩემს გულში: „ეხლა კი აგიტირდებათ დედა ქურდებო; წაიკითხავენ, ვისიც ჯერ არს ჩემ წერილებს; ასტყდება ჰექა-ქუხილი ოქმებისა, ბრაგა-ბრუგი გამოძიებისა, გამოიქექება დამალული ქურდობანი, ქურდ ოსებს დასძრავენ ვირის აბანოსაკენ და ამითი მშვიდობიან ქართველებს და ოსებს მიეცემათ ცოტაოდენი შვება“ და თან ვიფიქრე: იქნებ ჩემს რედაქტორს უჩივლონ მეთქი, როგორც იციან ტყუილ-მართლებმა, მაგრამ მე ამის დარდი არა მქონდა, რადგანაც ისეთი საბუთები მაქვს და მქონდა, ქვაზედ დამედო შუაზედ გავახეთქინებდი. არც ქურდი ოსების ქირისუფლები გამომეპასუხნენ გაზეთში. ვატყობ ყველა ასე გაიძახის: როხოს მართალაძემ მოშლილი წისქვილივითაო. მაშ რა შედეგი ჰქონდა ჩვენი ხალხისათვის, ბატონო მკითხველო, პატარა ლიახვის წერილებს? თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერი.

იქნებ თქვენ შეგეცოდეთ ამათ ხელში; გაგედიმათ ქურდი ოსების ოინბაზობაზედ. იქ ასოთ-ამწყობს ვაწვალებდი და აქ ჩემს თავს. დაუბერა ჩემს სიტყვებს ნიავმა და იალბუზს გადააცილა. ვიღამ იცის ეხლა ამისთანა საქმეების ყურის გდება!!! თუ მართალაძეს ძრიელ გული უხურს საწყალი ქართველებისათვის ოსებში, ცივი წყალი დალიოს. მაგრამ თუ ეგრეა, მუქარაობა რაღაა? ხან ვის აბრალებენ ქურდი ოსების კიცხვას, ხან ვის. ჰო! „სურას ეუბნებოდნენ, კოკავ შენ გესმოდესო“. მუქარა საჭირო არ გახლავთ, ოსების ქირისუფალნო. „ცნობის ფურც.“-ს რედაქცია, იშვიათად ეუბნება ხოლმე პასუხის დაბეჭდვაზედ უარს. დაასაბუთეთ, რომ მართალაძე სტყუის. მე სრულებით საქმე არა მაქვს კეთილ სინდისიერ და შრომის მოყვარე ოსის ოჯახთან; მაგრამ ბევრია პატარა ლიახვის ხეობაზედ იმისთანა ოსის ოჯახი, რომ ან თვითონ არ იყვნენ ქურდები და ან ნაქურდალი ფიზონაგი (მწვადები) არ ექამოს?.. თუ გნებავთ მოგახსენებთ. იმისთანა ოჯახი ჩირაღდანით უნდა ეძებოთ. სიტყვა „ოსი“, იმის ღვიძლი ბიძაშვილი სიტყვაა „ქურდი“. რაც უნდა მართალი ოსი იყოს, მაინც ხალხი ეძახის „ქურდი ოსიო“. ქურდი ოსივით ნუ დაიტუზებიო, დაიხაროო; ეს იმიტომ, რომ ოსებში ხშირია ქურდობა. ეცადნენ ოსების ქირისუფლები, შეამცირონ თავიანთ ხალხში ქურდობა და მაშინ ეს სახელიც მოშორდებათ.

მართალაძე

**ს. ბაკურციხე** (ქიზიყი) მადლობა შემოწირულებისათვის. უგულითადეს მადლობას უძღვნი ურიათუბნის მღვდელს მამა ი. ჩეკუროვს, რომელმაც შესწირა ჩემდამო დაარსებულს სამრევლო სკოლას ს. ბაკურციხეში საკლასო დაფა ღირებული, ხუთი მანეთი. ამ მოძღვარს, როგორც ვიცით ბევრგან აღმოუჩენია დახმარება ამნაირ საქმეში. იმედი მაქვს აღნიშნულს სკოლას, ვინც კი საქმითაც აღიარებს პირველ დაწყებითი სწავლის საჭიროებას ჩვენი ყოველივე მხრივ დაქვეითებული ხალხის საკეთილდღეოთ, მოაწვდის შემწეობას, რ-
თაც იქნება. ამასთანავე დავს-
ს. ბაკურციხეში ითვლება სამას-
დის სასკოლო ბავშვი (7 წლი-
14-მდის) და ეს სოფელი დაუ-
გრავს, უკან დაუწევია ნივთ-
რათ შვიდი წლის განმავლობ-
ზედი-ზედ სეტყვას, რომელსაც
ნახები, ეს პირველი საცხოვრ-
ლი წყარო აქაური მცხოვრებ-
ბისა, მთლათ გაუნადგურებია.
ნაირი მოვლენა ვისაც-კი გუ-
შესტკივა თავის თანამოძმისთ-
აგრძნობინებს მათ უკიდურესს -
თიერ მდგომარეობას და არ -
შურებს მცირე წვლილის გაღ-
აღნიშნული ხალხის გონებრ-
საზრდოს მოსაპოვებლად და მ-
სულიერათ წინ-მსვლელობისათვ-
ამ ჟამათ სკოლაში შეგროვი-
ორმოც და ხუთი შაგირდი, რ-
ლებიც ეს მეოთხე თვეა ერთ-
ლათ დადიან სასწავლებელ-
მაგრამ სასკოლო სახლის შეუს-
მობა და უქონლობა სასწავ-
ნივთებისა ცოტაოდნათ ხელს -
ცარავს და არა სანატრელ მდ-
მარეობაში გვაგდებს რომლ-
თვისაც ვითხოვ ყველასაგან,
საც კი ძალ-უძს დახმარება აღ-
გვიჩინოს ამ საქმეში.

ბაკურციხის მღვ. რ. ფერაძ-

*** **სამეგრელო.** ცრუმორწ-
ნეობა. არ იქნა საშველი, ა-
მოეღო ბოლო ამ უცნაურ ს-
თუმცა ეს სოფელი დროიდან -
შეთვისებული, მაგრამ აქამდის
გაუგიათ თუ რა გვარი მავნებე-
და უდროვოთ სიცოცხლის -
ლებია ეს სენი ადამიანისთვის.
მოვიდგინოთ საწყალი გლეხკ-
რომელსაც თითქმის არაფერი -
ნია თავის ოჯახობას და ქვე-
სამსახურს ოდნავ სძლევს, აგ-
ვე ვსთქვათ მას ჰყავს წვრილშ-
ნი და ერთი მათგანი გახდა -
ციებით, ცხელებით, თუ რი-
სხვით და მოუვლელობის -
ავათმყოფობა გავრცელდა რ-
დენიმე ხანს. მშობლები მი-
„მაკითხესთან“ (მკითხავთან)
ევედრებიან როგორმე უკ-
ავათმყოფის შესახებ. თავდაპ-
ლათ ის სთხოვს საჩუქარს და
დეგ გამოართმევს ქათმის მკე-
ძვალს, ან კიდევ ლობიოს, დ-
ჩევს. გაათავებს თუ არა ეტ-
ეს „ოხვამერი“ ბრალია, ან
ლის, ან გლახა ფუზეზე სახ-
ხარო და კარგი იქნებოდა -
გადაიტანდეო. საწყალი გ-
ასრულებს ყოველ „მაკითხეს-
რჩევს და მის აუარებელ და-
ესეც ზედ ემატება. საკვირვ-
სწორეთ, რატომ არ მიაქ-
ყურადღებას ამგვარ ცრუმო-
ნეობებს და რათ არ მოუ-
ბოლოს ვისიც ჯერ არს,
საც ეს ასე ძნელი არ იქნე-

…ყვავის ჭობნა. სხვა ცრუმო-
…ნეობასთან სამეგრელოში აი
…მდეგი სასაცილო ჩვეულე-
…იციან: ყველიერის აღების
… ძვირათ თუ იქნება ისეთი
…, რომ კვერცხი არ ჰქონდეთ.
…ენ კვერცხს, თავს მოამ-
…ვენ ცოტათი და მარტო
შეინახავენ ვახშმობამდის.
…ის დროს ყველანი თავის
… ცოტ-ცოტათი მოაგ-
…ბენ და შენახულ კვერცხის
… ჩააწყობენ, აგრეთვე ღვი-
… გაურევენ. მეორე დი-
შავ-ორშაბათს ერთ-ერთი წა-
…ება და იყურება იქით-აქეთ,
ყვავი შეამჩნიოს, თუ ნახა
… დაიმსობს თითით და იძახის:
…რია გორჯვინი, კვარია გორ-
…, ჩქიმი დუდიში ჯუასი“
…ო გაჯობე, ყვავო გაჯობე,
… თავის ტკივილი შენ.) და ამ
…ვებთან კვერცხს ესვრის,
შემდეგ ის მირბის სახლში
…ტყობინებს ყველას, რომ ყვა-
…ერ ხის და აჯობეთო.
…დი უყუროთ როგორ გამოც-
…ებიან და ყველა იძახის იმ
…რე ხსენებულ სიტყვებს. ვი-
…ობა თუ ყვავმა დაასწრო და
…ხავლა, მაშინ მისი გამგონი
…ის ნაჯობნი იქნება და იმ
…ს თავის ტკივილს ყვავის უჯო-
…რობას დააბრალებს.

გურძემელი

## …ილისის გუბ. თავად აზნაურთა საგანგებო კრება.

10 აპრილი

…მ სხდომას პირველად მოხსენ-
…ტფილისის გუბერნიაში ერო-
… დაწესებულებათა შემოღების
…ე. როგორც მკითხველებს ეხ-
…ებათ, თავად-აზნაურთა წარ-
…ლმა საგანგებო კრებამ განსა-
…რებულ კომისიას მიანდო შუა-
…ომლობის შემუშავება ერობის
…ლების შესახებ.
…ავ. დ. ზ. მელიქიშვილმა წაი-
…ხა ამ კომისიის მიერ შედგე-
…ლი თხოვნა მისს უდიდებულე-
…ბის ხელმწიფე იმპერატორისათ-
… მისართმევად ერობის შემოღე-
… შესახებ და განმარტებული წე-
…ლი ამავე საგნის შესახებ, რო-
…ც კავკასიის მთავარ-მართე-
…ს უნდა მიერთვას. კრებამ მო-
…ნა როგორც თხოვნა, აგრეთვე
…ილი და მადლობა გარდაუხადა
… მელიქიშვილს ამ საქმეში მო-
…ილეობისათვის.
…შემდეგ კრებას უნდა განეხილა
…ად შედგენილი დებულება იმის
…ახებ, თუ როგორ უნდა იქმნას
…წყობილი თავად-აზნაურთა მა-
…ლების მოვლა პატრონობისა და
…გეობის საქმე, მაგრამ ცოტაო-
…ნის კამათის შემდეგ კრებამ
…ნო, რომ ეს დებულება სავსე-
ბით ვერ არის შემუშავებული და შედგენილი და დაადგინა გადასცეს უკვე არსებულ კომისიას ხელახლა განსახილველად და შესავსებლად. ახლად შემუშავებული დებულება კომისიამ უნდა წარუდგინოს შემდეგს თავად-აზნაურთა კრებას.

დასასრულ კრებამ მოისმინა კომისიის მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.

როგორც ამ მოხსენებიდგანა სჩანს, შარშან საგუბერნიო მმართველობის მიერ დანიშნულ ტეხნიკოსთა კომისიას დაუთვალიერებია ქართული თეატრი და იმდენი ნაკლულევანება აღმოუჩენია, რომ საჭიროდ უცვნია წარმოდგენების გამართვის აღკრძალვა იმ დრომდე, ვიდრე ყველა აღნიშნული ნაკლულევანება აცდენილი არ იქმნება. თუმცა იმ კომისიას, რომელიც თავად-აზნაურთა ქონებას განაგებს, შეუკეთებია ყველა ის, რის შეკეთებაც ტეხნიკოსთ საჭიროდ უცვნიათ, მაგრამ წელს, სახელდობრ, 6 აპრილს, საგუბერნიო მმართველობის მიერ დანიშნულ ტეხნიკოსთა კომისიას ხელ-ახლა გაუსინჯავს თეატრი და ხელ-ახლა საჭიროდ უცვნია იმის შეკეთება. ტეხნიკოსთა აზრით ამ საქმეს 20,000 მანეთი მოუნდება. ამის გამო თავად-აზნაუთა ქონების გამგე კომისიის წევრები ორად გაყოფილან: ერთს ის აზრი წარმოუთქვამს, რომ ამ საქმის განხილვა თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას უნდა გარდაეცესო, ხოლო მეორეს ის, რომ მოეთხოვოს საგუბერნიო კრებას გადასდოს 6 ათასი მანეთი თეატრისა და მთლად ქარვასლის გადაკეთების გეგმის შასამუშავებლადაო.

კრებაზედ ამ საგანმა ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. ზოგი იმასაც-კი ამტკიცებდა, რომ თეატრს ზარალის მეტი არაფერი მოაქვს, საჭიროა იგი გავაუქმოთ და იმის მაგიერ მაღაზიები ავაგოთო, მაგრამ უმრავლესობამ მაინც ის აზრი წარმოსთქვა, რომ თეატრის გაუქმება ყოვლად-შეუძლებელია, რადგანაც ამით ქართულ სცენას და წარმოდგენებს ბოლო მოეღებაო. ბოლოს კრებამ დაადგინა, მიანდოს თავად-აზნაურთა კომისიას მოიწვიოს ტეხნიკოსები და შეადგინოს გეგმა მთელის შენობის გადაკეთებისა, იმ პირობით-კი, რომ თეატრი არ იქმნას გაუქმებული. კრებამ აგრეთვე დაადგინა გადასდოს ამ საქმისათვის 3,000 მანეთი და სთხოვოს არქიტექტორს სიმონსონს და სხვათ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.

## ქართველი კლასიკები.

შიო მღვიმელს.

მღიმე ფრთედ მიწა, მკვეთ კთერისად ჰქმენი,
მთხრებელ კიბედ კამარათა ცისათა ზე,
ზესთა ზენას, მეის ამაღლდი სუფევად,
მამათ შით, ასურთ მსურის შენდა,
მღვიმით წუხილთათ აღმომნი ტყვევ
კიდული.

დავით გარეჯელს.

—

განშორებულთა სიკეთე მამა დავით,
ირემთა ზრდილობს, ჰნიშებს საკვირვე-
ლებით,
ბუბაქარს ქრისტნაკს ვეშაპს ცეცხლით
დასწვავს,
შრომათა ხვავსა თანა წარყვების ზეცად,
გარესჯას ჰღვიმობს სულსა აღა ღვთის
ხელებს.

თქმული ნიკ. ტფილელის მიერ.

## ვაზის წამლობა*)

რითი გვიჯობს ვეწამლოთ ვაზის ობსა და შავ ჭირს?

ვუძღვნი ძვირფას მშრომელს და დაუვიწყარ მასწავლებელს ბ. არჩილ დარეჯანაშვილს (Мильдю и блэкротъ) ავტორისაგან.

აქ ის იყო კიდევ უფრო შესანიშნავი, რომ მაჩვენებელი კვლები რაკი მოდებულ იყვნენ სენით, რასაკვირველია, უნდა ამით ყოფილიყვნენ სხვა დანარჩენ და მეზობელ კვლების გადამდებათ. ბოლო ორ წელს ქანგაროთი ნაწამლი კვლები გვერდით ედვნენ მაჩვენებელს, მაგრამ ამითი მათ სრულებით არაფერი შესტყობიათ და ჰვნებიათ; მაშინ, როდესაც ამავე ნაირად მდებარე ამმონიური მარილების ნაწამლ კვლების ორ პირველ რიგებს ცოტა რაღაცა ზადიზიანი ეტყობოდათ. ქანგაროს კვლის რიგები კი, როგორც მაჩვენებელის გვერდით, ისე ბოლოსი, ყველა ერთნაირად, ლამაზად ორძილობდნენ და მიუხედავად ბევრისა და ბეჯითი ძებნისა, ვერც ერთი მარცვალიც კი ვერ ეპოვათ იქ წამხდარი.

ნაფშვნეულობებით ნაწამლი ნაწილი კი კიდევ ძალიან ბევრად ჩამოურჩებოდა სითხეებით ნაწამლს, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წელს ეგრედ წოდებულ „სკავინსელის გოგირდმა“ საუკეთესო შედეგი მოიტანა აქ ყველა სხვა ნაფშვენებ შორის. ამ, ესე იგი, ნაფშვნეულობებით ნაწამლ ნაწილში ერია აგრეთვე ერთი კვალიც—ლურჯი წყლით ნაწამლი, რომელიც უფრო ნაკლებად იყო გადარჩენილი, ვიდრე პირველ ნაწილში.

ამ წელს მოხდა აქ ოთხჯერ წამლობა, რომლებიც სრულდებოდნენ ყოველთვის ერთსა და იმავე დროს. დღეს თვითეულ კვლებზედ ხმარებული იყო ერთი და იგივე რაოდენობა სითხეებისა, რომ გამოცდა უკეთ შესადარებელი ყოფილიყო.

შემოდგომაზედ კიდევ დაათვალიერ-გადაშინჯეს ეს კვლები და აი რა ნახეს: 1) ორი კვალი ყველა დანარჩენებზედ უკეთესი და სრულიად გადარჩენილი. მცენარე მდიდარი და მუქ-მწვანე ფერით. ეს იყვნენ: ბორდოული და ქანგაროს სითხეებით ნაწამლნი. 2) ერთი კვალი თითქმის ასევე გადარჩენილი. სპილენძის ამმონიურით ნაწამლი. 3) ორი კვალი კიდევ საკმაოდ გადარჩენილი.—მცენარეებს ცოტათი მოყვითალო ფერი დასცემდათ.—შაბიამან და ნახშირ-მჟავი ბორაკის და მაგარ ამმონიურის მარილების სითხეებით. 4) ორი კვალი კიდევ გადარჩენილი, მაგრამ ყველა სხვებზედ კი მდარედ. დამწვარი ფოთლების პროპორცია კარგა დიდი იყო. ლურჯი წყლით და შაბიამნის წმინდა ხსნილით. 5) მაჩვენებელი კვლები —სრულიად ამოვარდნილი და თითქმის ასევე გაოხრებული—ბატტერუს ხსნილით ნაწამლი კვალი.

გ. ლეხურელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 796.

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

კვიპაროზი, გუნდის-ხე, სარო, (ქართული, იმერული) კიპარი (სომხური) კიპარის (რუსული) კუპრესუს სემპერვირენს (ლათინური). ძალიან ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანეთს ნაყოფით, და ტოტების აგებულებით, გარდა ამისა ზოგი იზრდება სიმაღლით ალვის ხის მზგავსათ, ამისთანა ჯურას უწოდებენ რუსულად კვიპარის პირამიდალნი; მეორე ჯურა იზრდება სიგანეზე როგორც სხვა ხე, ტოტები გადაფენილი აქვთ აქეთ იქით, ამისთანა ჯურას უწოდებენ კიპარის გორიზონტალნი. ეს ორივე ჯურა მცენარეები ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლებშია შემკული, რის გამო მათ რგავენ ეზოებში, ყვავილნარებში და ბაღებს გარეშემო შნოს და ლაზათის გულისათვის. აქვს კაკლის ტოლა მწვანე ნაყოფი, რომელიც სამსეა თესლებით, ნაყოფი და თესლი მინამდინ მწიფდება მწვანე ფერისანი არიან, როდესაც ნაყოფი დამწიფდება, მაშინ იღებს მუქ მოწითალო ფერს, თესლიც მაშინ იღებს იმავე ფერს, თესლი პრტყელი მოყვანილობისაა, ხელით გასრესილ ნაყოფს, და ნორჩ ყლორტებს და ფოთლებს აქვს სასიამოვნო ქარვის სუნი, ამისათვის მას ზოგ ერთ ადგილებში უწოდებენ სახელად „სამკლის ხეს“. ეს ხეები თბილ ქვეყნებისაა, ამისათვის ყველგან, მეტადრე ცივ აღ-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 792.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილებში სრულებით არ გვარობენ, უყვართ მშრალი და ფხვიერი ნიადაგი. როგორც გამძლე და მაგარი ხე მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება. ყვავის ყვითლად, მცენარე ერთ ოჯახობიანია (ОДНО ДОМНЫЕ) ცოცხლობს ორი ათას წლამდისინ, მრავლდება თესლით: გაზაფხულობით და შემოდგომით.

ლაფანი (ქართული, იმერული, გურული) იილანყოზ (თათრული) ალაფან (აფხაზური) აპინა (რუსული) პტერო კარია კაუკაზიკა (ლატინური), ეს ხე არაფრით არ ერჩევა კაკლის ხეს, ხოლო ირჩევა იმით, რომ მას მოაქვს უვარგისი ნაყოფი, საჭმელად არ ვარგა, ამისათვის თათრებს დაურქმევიათ იილან-ყოზ (მატყუარა კაკალი) გარდა ამისა ამ ხეს აქვს ვიწრო და მოგრძელო ფოთლები და არა მსხვილი და რგვალი, როგორც ნამდვილ კაკლის ხეს. ამ ხეს უყვარს ჭაობიანი ადგილები, კარგათ გვარობს ზაქათალის და ნუხის მაზრებში, კახეთში ალაზნის და სხვა წყლების ნაპირებზე, ლაგოდეხიდგან დაწყობილი ზაქათლამდისინ ამ ხეებიდგან შედგება დიდი ტყეები, ასე რომ დიდი ჩრდილოების გამო, ამათში ვერ უხეირნიათ სხვა მცენარეებს. გარდა ზემოთ აღნიშნულ ადგილებისა, ეს ხეები კარგათ გვარობენ გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და აფხაზეთში. ამ ხეს მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, სხვათაშორის მის მასალით აკეთებენ: ნავებს, კასრებს, წისქვილის ღარებს, ვარცლებს, ხონჩებს სადღობლებს და ქერქს ხმარობენ ვენახებში ვაზის ასახვევათ, მდაბიო ხალხი, მეტადრე რუსები, მის ქერქით ისხმენ ქალამნებს. კახეთში და ზაქათალის მაზრაში მით აკეთებენ მშვენიერ ხოკრებს. ცოცხლობს ორას წლამდისინ, მის გამხმარ დანაყილ ფოთლებით იჭერენ თევზებს, ამბობენ როცა ფოთლების ფხვნილს ჰყრიან წყალში (რა თქმა უნდა სადაც იცის თევზი) თევზები ეხვევიან ჰყლაპავენ ფხვნილებს, ითვრებიან ცოტა ხნის შემდეგ წყალი მოიტივტივებს ხოლმე თევზებსაო. ამისთანა წესით თევზების დ ჭერა, ეხლა აკრძალულია მთავრობისაგან. ხე მრავლდება: თესლით და ფესვების ბლარტებით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

7 აპრილი

**მოსკოვი.** მოსკოვის მაზრის საერობო კრებამ დაადგინა დღეს დაარსებულ იქმნას პუშკინის სახსოვრად სკოლა, რომელშიაც სწავლის გაგრძელება შეეძლოთ საერობო სასწავლებლებში კურს დამთავრებულებს. აგრეთვე გარდასწყვიტა, — დაარსდეს მაზრაში დამატებითი კურსები საერობო სკოლებში კურს დამთავრებულ მოსწავლეთათვის.

**პარიზი.** „Troid“-ის სიტყვით, პარიზის ერთ-ერთ დიდ მაღაზიაში სამი კაცი გახდა ავად შავი ჭირით, რომელიც შემოჰყვა ალმოსავლეთის ხალიჩებს.

**პარიზი.** პოლიციის პრეფექტურა აცხადებს ოფიციალურად, რომ პოლიციის პრეფექტმა თითონ მოახდინა გამოძიება და აღმოჩნდა, რომ ის ხმები, ვითომც შავი ჭირი გაჩენილიყვეს, სრულებით ტყუილი არისო.

**ბერლინი.** დღეს აქ გარდაიცვალა გეოგრაფი კიპერტი.

**ჰონკონგი.** ჩინეთის მეამბოხენი სრულიად განდევნილ იქმნენ კაუბუნგთან გაფართოებულ ადგილებიდგან. ბრიტანიის ჯარი მისდევდა მათ სოფლიდგან სოფლამდე და დიდს ზარალს აძლევდა. წინააღმდეგობას არ მოელიან შემდეგში. ამისდა მიუხედავად ბრიტანიის ჯარის ბანაკი წინ იქმნა წაწეული.

**ხარკოვი.** დღეს გამოაცხადეს განაჩენი ძმათა სკიტსკების საქმეზე. ორთავეს მიუსაჯეს კატორღა 12 წლით.

**კიევი.** სასულიერო სემინარიის ინსპექტორს ფილარეტს ერთმა ჯათხოვილმა 17 წლის მოწაფემ კრესჩენსკიმ დანა დაჰკრა გვერდში ინსპექტორისავე სადგომში. დაჭრილის მდგომარეობა საშიშია.

**პარიზი.** „ფიგარო“ ბეჭდავს ექსპერტების ჩვენებას, რომელიც ზოგი დრეიფუსის წინააღმდეგია და ზოგი მისი სასარგებლო.

„Cri de Paris“, რომ ბ., რომელზედაც კავენიაკი და როჟე ლაპარაკობდნენ, არის თავ. ბერგი, ავსტრიელი ოფიცერი, რომელიც ეხლა პარიზში სცხოვრობსო.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველ წიგნის მაღაზიებში და ეკლესიებში.

ცხოვრება

ლირსისა და მოციქულთა სწორისა წმ. ნინო ქართველთ განმანათლებლისა

სურათით

გამოცემა მორჩილის რაჟდენ ბარამამისა.

წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს ერთი შაური. (10—10)

სიცოცხლის დაზღვევა უბედურებისაგან

რკინის გზებსა და ზღვის გემებზე.

შეიძლება საზღვევის გამგეობაში „როსია“ (ს.-პეტერბურღ... ბოლშაია მორსკაია, 37) და განყოფილებაში ქ. ტფილის... ში სერგიევის ქუჩა № 6. და საზოგადოების აგენტ... ყველა რუსეთის ქალაქებში. (4—3)

Открыта подписка на 1899 годъ

На литературный, научный и политическій журналъ

Выходитъ 3 раза въ мѣсяцъ (1, 11, 21) 36 книгъ въ годъ 36 „ЖИЗНЪ“ Рисунки и портреты

Съ 1899 г. журналъ будетъ выходитъ при обновленнсмъ составѣ ...дакціи и сотрудниковъ.

Ва журналѣ принимаютъ участіе: К. С Баранцевичъ, академикъ Н. Н. ...товъ, В. В. Брусянинъ, П. И. Вейнбергъ, А. А Вербицкая, В. В. Берез... З. Л. Воронова, П. Н. Ге, М. П. Глѣбовъ, Р Іногдевъ, М. Горкій (... Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, Г. А. Джаншіевъ, Н. П. Дмитріевъ, А. (A. Duc), Де-Греефъ (De Greef.), П. П. Инфантьевъ, М. К. Исаевъ, ... Калитинъ, Б. Э Кетрицъ, проф. Г. В. Левицкій, д-ръ П. В. Левашовъ, Е. Лосицкій, Г. Ф. Львовичъ, В. Микуличъ. Н. М. Минскій, Вас. Ив. Немировичъ-Данченко, А. А. Никоновъ, Н. А. Окуневъ, проф. Э. Ю. Петри, А. Поссе, Д. Д. Протопоповъ, К. П. Пятницкій, Н. А. Рубакинъ, В. Скалонъ, М. А. Славинскій, Е Смирновъ, Евг. А. Соловьевъ, П. Б Стр... Н. Ф. Тепловъ, д-ръ В. Ө. Тотоміанцъ, М. И Туганъ-Барановскій, В. Черновъ, А. П. Чарушниковъ, Евг. Чириковъ, Корсдъ Шмидтъ (Co... Schmidt), проф Ө. Ө. Эрисманъ и др.

ГМ. ОРЬКІЙ зъявилъ согласія печатать въ „Жизни“ ВСѢ свои но... произведенія,

за исключеніемъ небольшикъ очерковъ, обѣщанныхъ имъ „Журнали для всѣхъ“.

**12 книжекъ** выходящихъ 1-го числа каждаго мѣсяпа, заключаютъ въ себѣ **ЛИТЕРАТУРНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него ходятъ: беллетристика, литерат. критика и искусство.

**12 книжекъ.** выходящихъ 11-го числа, аключаютъ въ себѣ **НАУЧНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ статьи по *ecтecтвo-знанію* и по *общественнымъ наукамъ* (соціологія, политическая экономія, право, исторія).

Особое вниманіе будетъ обращено на ознакомленія читат. съ новѣйш. научными теченіями.

**12 книжекъ,** выходящихъ 21-го числа, содержатъ въ себѣ **ПОЛИТИЧЕСКІЙ** отдѣлъ журнала. Въ него вхолятъ: руководящія статьи по текущимъ вопросамъ русской и заграничной жизни, корреспондевція изъ провиноіи и изъ за границы

Особое вниманіе будетъ обращено на разработку вопросовъ, касающихся крестянскаго, городскаго и земскаго самоуправленія.

Многіе мѣстные общественные дѣятели обѣщали свое сотрудничество. Для болѣе полнаго ознакомленія читателей съ заграничной жизнью, кромѣ отдѣльныхъ статей и корреспонденціи, редакція предполагаетъ помѣщать переводы *стенографическикахъ* отчетовъ о наиболѣе интересныхъ засѣданіяхъ западно-европейскихъ парламентовъ.

Постоянныя корреепонденціи изъ Германіи, Франціи, Англіи, С. Ам. Соед. Штатовъ, Австріи, Бельгіи и др.

***Библіографія*** распредѣляется по соотвѣтствующимъ отдѣламъ.

*Въ каждой изъ 36 книжекъ ...логается обзоръ русской и иност... ной жизни за 10 дней.* Этимъ бу... достигнуто соединеніе удобствъ еж... сячнаго и еженедѣльнаго издаоія.

Кромѣ того ежемѣсячно бу... помѣщаться *новости литературы, ...кусства и науки, а также мелочи ...ской и заграничной жизни.*

***Многія статьи (по искусст... исторіи и т. д.) будутъ ил... стрированы снимками съ к... тинъ и портретами.***

Помѣщеніемъ рисунковъ и п... ретовъ редакція однако отнюда не... мѣетъ придать журналу характеръ и... стрированнаго изданія.

Стремясь избѣгать помѣщенія ... шихъ литературныхъ произведеній ... большими отривками редакція рѣ... напечатать переводъ новаго боль... *романа **Гамфри Уордъ*** (автора ... челлы, Сэра Дж. Тресседи, Давида ... на и др.) ***Хельбекъизъ Баннис...ля отдѣльной книгой*** и разослать въ первой четверти 1899 года в... *подписчикамъ, внестимъ полную ... вую плату* въ видѣ безплатнаго ... ложенія

Контора редакціи готова ис... нять порученія иногородныхъ под... чиковъ по покупкѣ и вѣсылкѣ имъ кн...

Первыя три (январскія) кн... печатаются и выйдутъ въ декабрѣ. ...лающимъ ознакомиться съ журнал... онѣ высылаются за *одинъ* рубль. В... савшіе ихъ, продолжаютъ подписку ... 6 рублей.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ — 7 руб.; на ... года — 4 р. Допускается разсрочка отъ 1 р. въ мѣсяцъ.**

Главная контора СПБ. Бассейная д. 14.

Отдѣленія конторы *въ Москвѣ:* кн. маг., «Книжное Дѣло» (Моховая, ... Бенкендорфа); кн. скл. А. М. Муриновой (Трехпрудный пер., собств...

(8—6) Редакторъ-Издатель **Д. М. Остафьевъ**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Апрѣля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბ...